საგადახდო დავალება
Payment Order

50

თარიღი/Date 27/09/2017

გადამხდელი სახელი /Payer name	EUROPEAN CONSTRUCTION HOLDING LLC, 405193507
ანგარიში/Account from	GE27VT0900000000283605
გადამხდელის ბანკის დასახელება/Payer bank name	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
მიმღები ბანკის კოდი/Payer bank code	UGEBGE22

ინფორმაცია ფიზიკურ პირზე რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა/ Information about the person on behalf of which the payment is carried out	
დასახელება/Denomination	EUROPEAN CONSTRUCTION HOLDING LLC, 405193507
გადამხდელის მონაცემები /Tax payer code	405193507

მიმღების დასახელება/Receiver name	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი Receiver account/Treasury code	GE90TB7002533030100092
მიმღების ბანკი/სახაზინო კოდი Receiver bank/Treasury	სს "თიბისი ბანკი"
მიმღების ბანკის კოდი/Receiver bank code	TBCBGE22
დანიშნულება/ Purpose	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება# 1-235 02.02.2017წ.
დამატებითი ინფორმაცია/Additional info	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება 1-235 02.02.2017. -ქ.თბილისში, სამგორის რ-ში ვარკეთილის მე2 მიკრორაიონში #22 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი 01.19.20.003.094)სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

თანხა
Amount

34,503.04 / GEL

თანხა სიტყვებით / Amount in words

ოცდათოთხმეტიათასხუთასსამი ლარი და ოთხი თეთრი / thirty-four thousand five hundred and three lari and four tetri

ბანკის აღნიშვნები
Bank Signs

ბანკში რეგისტრაციის თარიღი / Date into bank

27/09/2017

თარიღი / Transaction date

27/09/2017

ხელმოწერა/Signature

შტამპის ადგილი
Place for Stamp

283558750

ხელმოწერები/Signatures

ბ.ა./Place for Seal

სს ვითიბი ბანკი ჯორჯია VTB
UGEBGE22
მიღებულია ინტერნეტ ბანკით
RECEIVED BY INTERNET BANKING

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-235

"2 თებერვალი 2017წ.

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში ვარკეთილის II მიკრორაიონში №22 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.003.094), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 18 იანვრის №3 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში ვარკეთილის II მიკრორაიონში №22 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.003.094), მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,6.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური

(ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში:GE90TB7002533030100092.) 34 503.04 (ოცდათოთხმეტი ათას ხუთასსამი ლარი და ოთხი თეთრი) ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია